

## განმარტებითი ბარათი

საქართველოს კანონის პროექტზე „ტერორიზმთან ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე”

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

*ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:*

საქართველოს საგარეო დაზვერვის სპეციალური სამსახურის მიერ შემუშავებული იქნა „საქართველოს დაზვერვის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის ახალი პროექტი, რომლის თანახმადაც, იცვლება საქართველოს საგარეო დაზვერვის სპეციალური სამსახურის სახელწოდება და მას ეწოდება „საქართველოს დაზვერვის სამსახური“.

„ტერორიზმთან ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე კანონპროექტის მიღების მიზეზია კანონში მითითებული საქართველოს საგარეო დაზვერვის სპეციალური სამსახურის დასახელების შესაბამისობაში მოყვანის აუცილებლობა „საქართველოს დაზვერვის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის ახალ პროექტთან.

*ა.ბ.) კანონპროექტის მიზანი:*

„ტერორიზმთან ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე საქართველოს კანონის პროექტის მიზანია შეიცვალოს საქართველოს საგარეო დაზვერვის სპეციალური სამსახურის დასახელება და იგი შესაბამისობაში იქნეს მოყვანილი „საქართველოს დაზვერვის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის ახალ პროექტთან.

*ა.გ.) კანონპროექტის ძირითადი არსი:*

წარმოდგენილი კანონის პროექტის მიღებით შეიცვლება „ტერორიზმთან ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონში არსებული საქართველოს საგარეო დაზვერვის სპეციალური სამსახურის დასახელება, დასახელებიდან ამოღებული იქნება სიტყვები „საგარეო და სპეციალური“ და ჩამოყალიბდება შემდეგი რედაქციით „საქართველოს დაზვერვის სამსახური“.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

*ბ.ა.) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:*

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს აუცილებელი ხარჯების გამოყოფას სახელმწიფო ბიუჯეტიდან ან დაფინანსების სხვა წყაროდან.

*ბ.ბ.) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:*

კანონპროექტის მიღება არ მოახდენს გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

*ბ.გ.) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:*

კანონპროექტის მიღება არ მოახდენს გავლენას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

*ბ.დ.) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:*

